ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, დავით უჯმაჯურიძის , ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრის

ოქმი №1

ქალაქი თბილისი, ვარკეთილი 3, ვიქტორ კუპრაძის ქუჩა № 2 31.10.2018 წელი 12:00 სთ
(მედიათეკის შენობა)

საჯარო შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. დავით უჯმაჯურიძე (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე)
2. რევაზ სოხაძე (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე)
3. დაინტერესებული პირები (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლები)

საჯარო შეხვედრის დღის წესრიგი:

1.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის დავით უჯმაჯურიძის მიერ 2017 წლის 14 ნოემბრიდან 2018 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით გაწეული სამუშაოს ანგარიში.

მომხსენებელი: დავით უჯმაჯურიძე
/ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი/

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ბატონი დავით უჯმაჯურიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“88-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ამომრჩევლებისთვის ანგარიშის წარდგენისა და ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების გამართვის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ოქტომბრის №26-113 დადგენილების დანართი №2-ით დამტკიცებული წესის თანახმად, დამსწრე საზოგადოებას (საჯარო შეხვედრაში მონაწილე ქალაქ თბილისის მოსახლეობას) წარუდგინა 2017 წლის 14 ნოემბრიდან 2018 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით გაწეული მუშაობის ანგარიში

საჯარო შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის დავით უჯმაჯურიძის შემდეგ აქტივობებზე:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის რანგში გაწეული საქმიანობა;

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის წევრის რანგში გაწეული საქმიანობა;

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრის რანგში გაწეული საქმიანობა;

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსთვის" წევრის რანგში გაწეული საქმიანობა;

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობაში მონაწილეობა;

6. სხვა აქტივობები (ღონისძიებები, შეხვედრები).

ანგარიშის წარდგენის შემდეგ, საჯარო შეხვედრა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, ბატონმა დავით უჯმაჯურიძემ უპასუხა მოქალაქეების მიერ დასმულ შეკითხვებს, მადლობა გადაუხადა საზოგადოებას შეხვედრაში მონაწილეობისათვის და საჯარო შეხვედრა დასრულებულად გამოაცხადა.

საჯარო შეხვედრის წარმართვაზე პასუხისმგებელი პირი: გიორგი ბადრიძე

/II რანგის მეორადი სტრუქტურული
ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)/

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის

დავით უჯმაჯურიძის

2017 წლის 14 ნოემბრიდან 2018 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით გაწეული სამუშაოს ანგარიში

მე-6 მოწვევის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის დღიდან (2017 წლის 14 ნოემბერი) ვარ ამავე მოწვევის საკრებულოს წევრი. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე და ჩემს საქმიანობას ვახორციელებ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში. ასევე, გახლავართ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს წევრი და შემდეგი კომისიების წევრი:

- **სატრანსპორტო საკითხთა კომისია;**
- **ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისია.**

2017 წლის 14 ნოემბრიდან 2018 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით ჩემს მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშს წარმოგიდგენთ შემდეგნაირად:

- **სტატისტიკა:**
  - ✓ ჯამური რაოდენობრივი მონაცემები საკრებულოს, ბიუროს, იმ ფრაქციისა და კომისიათა სხდომების / განსახილველი საკითხების შესახებ, რომელთა წევრი გახლავართ;
- **მოსახლეობასთან ურთიერთობა:**
  - ✓ ამომრჩეველთა მიღება; კონსულტაცია; საკრებულოს მაჟორიტარ წევრებთან ერთად გასვლითი ღონისძიებები/მოქალაქეთა მიღება მაჟორიტართა ბიუროებში;
- **ცვლილებები, ინიციატივები:**
  - ✓ დედაქალაქის საკრებულოში განხილული მნიშვნელოვანი საკითხები;
- **სატრანსპორტო საკითხთა კომისია, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისია, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო":**
  - ✓ საქმიანობის მოკლე მიმოხილვა;
- **სხვა აქტივობები:**
  - ✓ შეხვედრები; გასვლითი, გაცნობითი და სხვა სახის ღონისძიებები ;

სტატისტიკა

საანგარიშო პერიოდი : 14.11.2017 - 30 .10.2018

- საკრებულოს სხდომათა რაოდენობა: 29
- ბიუროს სხდომათა რაოდენობა : 28
- მიღებული დადგენილებების რაოდენობა: 127
- მიღებული განკარგულებების რაოდენობა: 397

სატრანსპორტო საკითხთა კომისია

- ჩატარებული სხდომების რაოდენობა: 19
- განხილული საკითხების რაოდენობა: 40

ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისია

- ჩატარებული სხდომების რაოდენობა: 30
- განხილული საკითხების რაოდენობა: 177

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“

- ჩატარებული სხდომების რაოდენობა: 33
- განხილული საკითხების რაოდენობა: 53

მოსახლეობასთან ურთიერთობა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ყოფითი რეალობის, საჭიროებისა და ინიციატივების გაცნობის, მათთვის და დედაქალაქისათვის პრიორიტეტულ თემებზე რეაგირების მიზნით, განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობ მოქალაქეთა მიღების საკითხს. საანგარიშო პერიოდში შევხვდი და მოვუსმინე თითოეულ მოქალაქეს, რომელთაც როგორც საკრებულოს წევრს, მომმართეს სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. მათ შორის, აღსანიშნავია სოციალური, ჯანდაცვის, დასაქმების, ურბანული და ინფრასტრუქტურული, სამართლებრივი, სპორტისა და კულტურულ-საგანმანათლებლო თემები.

აქტიური კოორდინაცია მქონდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციასა და სტრუქტურულ ერთეულებთან/ქვედანაყოფებთან, ასევე ქალაქის წარმომადგენლობითი ორგანოს კომისიებთან, მათი საქმიანობის სფეროს შესაბამისი საკითხებით დაინტერესებულ მოქალაქეთათვის კონსულტაციის გაწევის მიზნით.

მოქალაქეთა მიღებისა და შეხვედრების ფორმატში აღსანიშნავია ასევე საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატებთან ერთად მოსახლეობასთან გასვლითი, გაცნობითი თუ სხვა სახის ღონისძიებები. დავესწარი მოქალაქეთა მიღებას ჩუღურეთისა და სამგორის ოლქების მაჟორიტართა ბიუროებში. ჩემი კომპეტენციისა და შესაძლებლობის ფარგლებში მოვახდინე რეაგირება გაცნობილ საკითხებზე.

საანგარიშო პერიოდში აღსანიშნავია კორესპონდენცია და დოკუმენტბრუნვა, როგორც შიდა სტრუქტურულ თემებზე, ასევე სხვა უწყებებიდან შემოსულ საკითხებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე. გავეცანი თითოეულ შემოსულ კორესპონდენციას და საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“ განსაზღვრულ ვადებში, სამდივნოს თანამშრომელთა ჩართულობით, თითოეულ მათგანზე მოვახდინეთ შესაბამისი რეაგირება (მივიღეთ ცნობის სახით, გავწიეთ შუამდგომლობა)

ვასრულებდი საკრებულოს წევრის კანონმდებლობით გაწერილ უფლეობა-მოვალეობებს, მათ შორის, ვესწრებოდი დედაქალაქის წარმომადგენლობით ორგანოში გამართულ სხდომებსა და სამუშაო შეხვედრებს.

საანგარიშო პერიოდში ჩართული გახლდით აპარატის ყოველდღიურ საქმიანობაში. აპარატს, როგორც საკრებულოს სამუშაო რეჟიმის წარმმართველ, განსაკუთრებულ რგოლს, საანგარიშო პერიოდში წარმოდგენილი ჰქონდა სხვადასხვა შემეცნებითი, კულტურული თუ სოციალური პროექტი. თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, მოეწყო გასვლითი ტრენინგები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისა და აპარატის თანამშრომელთათვის.

ცვლილებები, ინიციატივები

დედაქალაქის საკრებულოში განხილული მნიშვნელოვანი საკითხები

ანგარიშის ამ ნაწილში გამოვყოფ **რამდენიმე,** დედაქალაქისა და მოსახლეობისთვის **განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხს,** რაც საანგარიშო პერიოდში ქალაქის აღმასრულებელ ორგანოსთან მჭიდრო თანამშრომლობით განიხილა და დაამტკიცა დედაქალაქის საკრებულომ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მე-6 მოწვევის საკრებულოსა და აღმასრულებელი ორგანოს სისტემაში შემავალი სამსახურების უფლებამოსილების ცნობის შემდგომ, მუნიციპალური მმართველობის აღსრულების პირველი ეტაპი გახლდათ მასშტაბური სტრუქტურული ცვლილებები. დედაქალაქის წარმომადგენლობითი ორგანოს თანხმობით მოხდა მერიის სისტემაში შემავალი სამსახურების ფუნქციების გადანაწილება-გაერთიანება, გაუქმება ან/და დამატება.

ცვლილებების შემდგომ, მუნიციპალური პოლიტიკა გაიწერა სხვადასხვა მიმართულებებით, რაც ნორმატიული რეგულირების სახით აისახა საკრებულოს დადგენილებებსა და განკარგულებებში.

აღნიშნულმა სტრუქტურულმა ცვლილებებმა, რიგ შემთხვევებში, განაპირობა მუნიციპალური ფუნქციების ზრდა, ადგილობრივი მმართველობის ეფექტურად აღსრულების მიზნით.

ცვლილებები განხორციელდა ასევე დედაქალაქის საკრებულოში. კერძოდ, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას გამოეყო ტრანსპორტის მიმართულება და შეიქმნა:

- სატრანსპორტო საკითხთა კომისია;

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისია გაერთიანდა იურიდიულ საკითხთა კომისიასთან და ეწოდა:

- იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია;

კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროში აღსანიშნავია ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **„მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანება“**-ს დაფუძნება. თანამედროვე ტიპის კულტურულ-საინფორმაციო სივრცე, სადაც მომხარებელს საშუალება ექნება ისარგებლოს მრავალფეროვანი ფონდით, როგორც წიგნადი (მატერიალური) ისე ელექტრონული რესურსებით.

საზოგადოებრივი ჩართულობისა და საქმიანობის მეტი გამჭვირვალობის მიზნით, დედაქალაქის მერიაში შეიქმნა ა(ა)იპ **„საზოგადოებასთან კომუნიკაციის განვითარების სააგენტო“** - ამრიგად, აღმასრულებელი ორგანოს სისტემაში შემავალი სხვადასხვა სამსახურების მასშტაბით მოხდა საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ფუნქციის ცალკე გამოტანა და ცენტრალიზება.

დედაქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების, ქალაქის მასშტაბით გამწვანებული ტერიტორიების, დასასვენებელი ადგილებისა და შადრევნების მოვლა-პატრონობის უფლებამოსილება განესაზღვრა შპს **„ეკო სერვის გჯუფი“- ს,** რომელიც ასევე მიმდინარე წელს დაფუძნდა. მის მიერ განხორციელებული სამუშაოები მნიშვნელოვანია როგორც დედაქალაქის ჯანსაღი იერსახის შენარჩუნებისათვის, ასევე ტურისტულად მიმზიდველი გარემოს შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა ქალაქ თბილისში, **2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა ფულადი დახმარების გაცემის წესში,** რომელიც ადგენს სამართლებრივ რეგულაციებს: სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა კლასიფიკაციას და მათთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების მექანიზმებს.

ცვლილების შემდგომ შესაძლებელი გახდა იმ დაზარალებულ პირთა დახმარება:

- ერთჯერადად, ფულადი თანხის გადაცემით, რომლებიც, სტიქიის დროს კანონიერი საფუძვლის გარეშე ცხოვრობდნენ უწყებათაშორისი კომისიის მიერ განსაზღვრულ ტერიტორიაზე და დაენგრათ მათ მფლობელობაში/სარგებლობაში არსებული სახლები;

- რომელთაც უწყებათაშორისი კომისიის მიერ განსაზღვრული ტერიტორიის ფარგლებში, ერთობლივი საქმიანობის განხორციელების მიზნით შექმნეს გაერთიანება (ამხანაგობა) და ქონება რეგისტრირებულია ამ გაერთიანების (ამხანაგობის) საკუთრებად;

არსებული წესის მიხედვით, ვინაიდან ზემოთხსენებული პირები არ ითვლებოდნენ დაზარალებულ პირებად (ოჯახებად), ვერ ხორციელდებოდა მათთვის საცხოვრებელი ფართის რეაბილიტაცია/დახმარება.

- სტიქიით დაზარალებულთა დახმარების პროცედურები გაგრძელდა 2018 წლის ბოლომდე.

კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულ პირთა საკომპენსაციო ღონისძიებებიდან აღსანიშნავია საანგარიშო პერიოდში ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრების/უფლებამონაცვლეებისათვის საცხოვრებელი ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 ლარად საკუთრებაში გადაცემა. აქვე აღვნიშნავ, რომ ზემოთხსენებული ღონისძიებების გასაგრძელებლად, დედაქალაქის საკრებულომ განიხილა საკითხი ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ, საცხოვრებელი ინფრასტრუქტურის მშენებლობაზე თბილისის მასშტაბით სხვადასხვა ლოკაციებზე.

აღსანიშნავია ცვლილებები **ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების** ხელშეწყობის პროგრამის განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის აღრიცხვის წესში, რაც მიზნად ისახავს ბინათმესაკუთრეთა საერთო ქონების ექსპლუატაციასა და განვითარებისათვის აუცილებელი სამუშაოების განხორციელების დაფინანსებასა და მასში ამხანაგობის ფინანსური თანამონაწილეობის ზღვარის დადგენას.

განისაზღვრა იმ სამუშაოთა ჩამონათვალი, რომელიც გამგეობის მიერ სრულად (100%-ით) დაფინანსდა/დაფინანსდება. წარმოდგენილი ცვლილების ფარგლებში ამხანაგობას დაევალა საერთო კრების ოქმით განსაზღვროს საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისთვის აუცილებელი სადანახარჯო შენატანების ოდენობა, რომლის შეტანაც განხორციელდება ამხანაგობის ანგარიშზე. შენატანების ოდენობა უნდა შეადგენდეს გამგეობის მიერ დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოს ღირებულების არანაკლებ 10%-ს.

საანგარიშო პერიოდში, აღნიშნულ წესში ბოლოს განხორციელებული ცვლილების მიხედვით, 4 სართულამდე შენობის ან/და მისი შემადგენელი ელემენტის კაპიტალური გამაგრებითი სამუშაოების ჩატარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოს განხორციელებაში ამხანაგობის ფინანსური თანამონაწილეობის პროცენტულმა მაჩვენებელმა 10%-დან დაიკლო 5%-მდე 100 000 ლარამდე და 3%-მდე 100 000 ლარზე მეტი ღირებულების გამაგრებითი სამუშაოების შემთხვევაში.

რამდენადაც, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სერვისები მოსახლეობისათვის მუდმივად პრიორიტეტს წარმოადგენს, აღნიშნული მიმართულებით, მიმდინარე წელსაც მნიშვნელოვანი პროგრამები გაიწერა დედაქალაქის ბიუჯეტში. მათ შორის, გამოვყოფ რამდენიმე სიახლეს, გასულ წელთან მიმართებაში:

- **„დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამა“**
  - ✓ დაემატა ფარისებრი ჯირკვლის კიბოს სკრინინგი, რომელიც მოიცავს ულტრაბგერით გამოკვლევას და ენდოკრინოლოგის კონსულტაციას, საჭიროების შემთხვევაში სისხლის თირეოტროპული ჰორმონის გამოკვლევას ან/და ბიოფსიური მასალის აღებას და ციტოლოგიურ კვლევას.
    ქვეპროგრამის მიზანია: სამიზნე პოპულაციაში კიბოს ადრეული გამოვლენის მაჩვენებლის შემცირების გზით, კიბოთი გამოწვეული ავადობისა და სიკვდილიანობის შემცირება.
- **„ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამა“**
  - ✓ დაემატა ღვიძლის ტრანსპლანტაციის კომპონენტი, რომელიც მოიცავს ღვიძლის დაავადებების მქონე პირებისათვის ღვიძლის ტრანსპლანტაციის დაფინანსებას. ქვეპროგრამის მიზანია: ონკოჰემატოლოგიური და ღვიძლის დაავადებების მქონე პირებისათვის, რომლებიც საჭიროებენ ღვიძლის ტრანსპლანტაციას, ოპერაციული მკურნალობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.
- **„აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამა“**
  - ✓ გაიზარდა დაფინანსებული ბენეფიციარების თვიური ლიმიტი, კერძოდ 700 ბენეფიციარის ნაცვლად ფინანსდება 820 ბენეფიციარი.

ჯანმრთელი და საინტერესო ახალგაზრდული აქტივობები დაიგეგმა მიმდინარე წელს დედაქალაქის წარმომადგენლობით ორგანოში. მათ შორის, გამოვყოფ რამდენიმე კამპანიას:

- **,,როდესაც სპორტი ცვლის სამყაროს“** - ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია სამაჟორიტარო ოლქების ცენტრალურ სკოლებში;
- **მუნიციპალური სპორტული ბაზები;**
  მიზანი - სპორტის მოყვარულთა მუნიციპალური საერთო ბაზის შექმნა სპორტის სხვადასხვა სახეობებში; დედაქალაქში მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა; სოციალურ ქსელში თემატური ელექტრონული ჯგუფების შექმნა, რაც გააადვილებს მასობრივი სპორტული ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესს.
- საქართველოს **10 რეგიონის საკრებულოს ახალგაზრდა წევრების ვიდეო მიმართვები** საკუთარ მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროექტებზე და სხვა.

ზემოთხსენებული აქტივობები დაიგეგმა/განხორციელდა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მიერ მიმდნარე წელს დაფუძნებული **„ახალგაზრდული ფორუმი ადგილობრივი თვითმმართველობისთვის“**-ს ფარგლებში, რომლის მიზანია:

- ✓ მუნიციპალიტეტის საკრებულოების ახალგაზრდა წევრთა ერთიან ფორმატში რეგულარული შეხვედრების მოწყობა;
- ✓ ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება და კომუნიკაციის გაუმჯობესება. დევიზი: „ახალგაზრდა ლიდერები დღეს“.

მიმდინარე წელს გაიმართა აღნიშნული ფორუმის ორი შეხვედრა:

1. სადამფუძნებლო შეხვედრა დედაქალაქის საკრებულოში, სადაც განხილული იყო ადგილობრივ თვითმმართველობაში ახალაგაზრდების ჩართულობის, ახალგაზრდებში ძალადობის აღმოფხვრისა და სხვა საკითხები;

2. რეგიონული შეხვედრა საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (NALAG) და ევროპის კავშირის მხარდაჭერითა და საქართველოს პარლამენტისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტის ორგანიზებით; თემა: ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტირების პროცესში ახალგაზრდების ჩართულობა; საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალობა.

გენდერულ საკითხებზე საზოგადოების, მათ შორის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლებისათვის კონკრეტული ქმედითი ღონისძიებების დაგეგმვა-გატარების მიზნით, დედაქალაქის საკრებულოში არსებული „გენდერული თანასწორობის საბჭო“-ს მიერ მიმდინარე წელს დამტკიცდა 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა, მოხდა გენდერული თანასწორობის საბჭოს სამუშაო ჯგუფის ფორმირება და საბჭოს საქმიანობის ფარგლებში გაიმართა არაერთი შეხვედრა.

მიმდინარე წლის ოქტომბერში, დედაქალაქის საკრებულოში დაიწყო მზადება ლიტერატურისა და ხელოვნების ყოველწლიური კონკურსის - ,,თბილისი''-ს გამოსაცხადებლად, თემატიკით - „გააცოცხლე შენი ქალაქის ამბები“. კონკურსის ნომინაცია - წლის საუკეთესო ესსე.
კონკურსის მიზანია სამოქალაქო ცნობიერებისა და დედაქალაქის შესახებ ცნობადობის ამაღლება; დაინტერესებულ პირთა ინტელექტუალური და შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენა და წახალისება;

კონკურსი ნებისმიერი დაინტერესებული პირის ლიტერატურულ-შემოქმედებით მარათონში ჩართვისა და ინტელექტუალური პოტენციალის გამოვლენის საშუალებას იძლევა. გამოვლინდება სამი საუკეთესო ესსეს ავტორი, რომელთაც ჯილდოს სახით ფულადი პრემია გადაეცემათ.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს დედაქალაქის მასშტაბით მოხდა 130 გეოგრაფიული ობიექტის სახელდება.

წლის განმავლობაში, ჩართული გახლდით დედაქალაქის 2018 წლის ბიუჯეტის განხილვა/დამტკიცებასა და კორექტირების პროცესში, რომელიც ქალაქისა და მოსახლეობის საჭიროებებისა და პრიორიტეტების მიხედვით შემდეგნაირად განისაზღვრა:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა;
- ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია და ავარიული შენობების გამაგრება;
- ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება;
- ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- განათლება;
- კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა;
- საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება;
- ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები.

სატრანსპორტო საკითხთა კომისია

როგორც აღვნიშნე, მიმდინარე წელს, მე-6 მოწვევის საკრებულოს კომისიათა ჩამონათვალს შეემატა სატრანსპორტო საკითხთა კომისია, რომელიც დედაქალაქის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურთან კოორდინაციით აქტიურად მუშაობს ქალაქის ერთიანი სატრანსპორტო პოლიტიკის შემუშავებასა და გატარებაზე.

სტუქტურული ცვლილებების შემდგომ ტრანსპორტის საქალაქო სამსახურს დაემატა რიგი ფუნქციები საგზაო მოძრაობის ორგანიზების კუთხით ურბანული პოლიტიკისა და ქალაქგეგმარებითი დოკუმენტების შემუშავების, ფუნქციური ზონის ცვლილების და სპეციალური ზონალური შეთანხმებით ქალაქგეგმარებითი პარამეტრების ცვლილების საკითხებში ჩართულობასთან დაკავშირებით. შესაბამისად, დედაქალაქის სატრანსპორტო პოლიტიკა აიგო აღნიშნული სამსახურის ფუნქციებისა და კომპეტენციების საფუძველზე და მასთან თანხვედრაში მოდის წარმომადგნელობით ორგანოში შექმნილი სატრანსპორტო საკითხთა კომისიის საქმიანობის მიზნები და ამოცანები.

კომისიამ საანგარიშო პერიოდში გამართა 19 სხდომა და განხილულ იქნა 40 საკითხი. როგორც კომისიის წევრი, მონაწილეობას ვიღებდი დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების შესწავლასა და კომისიის მუშაობის ფორმატით დადგენილ სხვა აქტივობებში.

სატრანსპორტო სისტემის ინტეგრირების უზრუნველყოფის და ამ მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარების კუთხით სატრანსპორტო საკითხთა კომისია ჩართული იყო დედაქალაქის ახალი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განხილვაში.

- **ავტობუსების პარკის (M3 კატეგორია) განახლება**

ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და კომფორტული გადაადგილების უზრუნველყოფის მიზნით, მიმდინარე წელს მოხდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის ავტოპარკის

განახლება, კერძოდ „ბოგდანის“ ტიპის ავტობუსები ჩანაცვლდა ახალი, ევროპული სტანდარტის „MAN”- ის მარკის ავტობუსებით;

- **სატრანსპორტო მარშრუტების განახლება**

მოძრაობის სქემის ოპტიმიზაციისა და მოსახლეობის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების უზრუნველყოფის მიზნით, კომისიამ საანგარიშო პერიოდში განიხილა ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილი რიგი ცვლილებები მოძრაობის მარშრუტების სქემებში, რაც განპირობებული იყო მოქალაქეთა მოთხოვნებით, ქუჩის სახელდების ცვლილებებისა და სხვა მიზეზებით.

ზემოთხსენებული ცვლილებების შედეგად მიმდინარე წელს დედაქალაქს შეემატა 9 ახალი მარშრუტი (M2 და M3 კატეგორია), დაგრძელდა 15 მარშრუტი (M2 კატეგორია) ავტობუსები დაემატა 12 მარშრუტს (M2 კატეგორია)

აღდგა კიკეთი-წყნეთის (ყოფილი №5) მარშრუტი;

- **სავალდებულო გაჩერების ადგილები (M2 კატეგორია)**

ტრანსპორტის მოძრაობის ორგანიზების, სამგზავრო გადაყვანის და საგზაო მოძრაობის სისტემის გაუმჯობესების მიზნით, მიმდინარე წელს თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელ ნებართვების მფლობელებს წარმოეშვათ ვალდებულება, დაიცვან სანებართვო პირობა, რომლის მიხედვითაც, ქაოტური მოძრაობის პრევენციის მიზნით, ქუჩებზე ავტობუსების გაჩერების ადგილების განსაზღვრის შემთხვევაში, მარშრუტზე მომუშავე **ავტობუსების (M2 კატეგორია) გაჩერება უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მხოლოდ ამ გაჩერებაზე**. სავალდებულო გაჩერების ადგილები დადგინდა 14 ქუჩაზე:

- ვაჟა-ფშაველას გამზირი;
- ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი;
- პეკინის ქუჩა;
- ჟიული შარტავას ქუჩა;
- მერაბ კოსტავას ქუჩა;
- ილია ჭავჭავაძის გამზირი;
- შოთა რუსთაველის გამზირი;
- პეტრე მელიქიშვილის ქუჩა;
- მარშალ არჩილ გელოვანის გამზირი;
- დავით აღმაშენებლის ხეივანი;
- დავით აღმაშენებლის გამზირი;
- ვახტანგ გორგასლის ქუჩა;
- ჯორჯ ბუშის ქუჩა;
- კახეთის გზატკეცილი.

- ტაქსების სერვისის მოწესრიგება

წლის ინიციატივებს შორის აღსანიშნავია ტაქსების რეგულაციის სფეროში განხორციელებული ღონისძიებები. მიღებული რეგულაციებით ხდება ტაქსების სისტემის ცენტრალიზება, ტაქსით გადაყვანის მომსახურების სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევა; მოსახლეობის გადაადგილების კომფორტის მაქსიმალური ხელშეწყობა.

დამტკიცდა წესი, მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის მომსახურების განხორციელების; სანებართვო პირობების; ნებართვის მფლობელთა უფლება-მოვალეობების; ნებართვის გაცემის შესახებ. შემუშავდა ერთიანი საინფორმაციო ბაზა ნებართვის მქონე პირთათვის;

- **პარკირების სისტემა**

დედაქალაქში ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების ოპერირება გადაეცა „თბილისი პარკინგს";

ნებართვის მფლობელი ტაქსებისათვის განისაზღვრა საფასურის გადახდის გარეშე სპეციალური მუნიციპალური საპარკინგე ადგილების გამოყოფა. შეირჩა 86 ლოკაცია, 247 საპარკინგე ადგილი.

მიმდინარეობს კონსულტაციები პარკირების საათობრივი და ზონალური მართვის სისტემის დანერგვასთან დაკავშირებით;

- <u>მეტროს მოდერნიზაცია</u>

ახალი მოძრავი შემადგენლობები დაემატა მეტროპოლიტენის:

- ✓ „ახმეტელის თეატრი"- ,,ვარკეთილის" ხაზს - ოთხ ვაგონიანი 3 მოძრავი შემადგენლობა;
- ✓ საბურთალოს ხაზს - სამ ვაგონიანი 1 მოძრავი შემადგენლობა.

დაწესდა რეგულაციები შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით მოსარგებლე პირთათვის ბარათის არაკეთილსინდისიერად გამოყენების - სხვა პირზე ნებისმიერი ფორმით გადაცემის აღმოფხვრის მიზნით.

საანგარიშო პერიოდში კომისიამ მოისმინა:

- ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2018 წლის 6 თვის საქმიანობის ანგარიში;

- კომპანია ,,ფრეგობასის" პრეზენტაცია ელექტრო ავტობუსების შესახებ. ფრეგობასი - ერთ-ერთი მრავალპრფოლიანი ინდუსტრიული ლიდერი მსოფლიოში, რომელიც აწარმოებს 100 %-ით ეკოლოგიურად სუფთა, შშმ პირთათათვის განკუთვნილი სტანდარტებით აღჭურვილ ელექტროავტობუსებს. პრეზენტაციის ფარგლებში საუბარი შეეხო საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მუნიციპალური და საქალაქთაშორისო ელექტროავტობუსების საქართველოში წარმოების დაწყების შესაძლებლობას;

- კომპანია „სისტრას" პრეზენტაცია თბილისში საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარების მიმართულებით დაგეგმილი და განსახორციელებელი/განხორციელებული ღონისძიებების შესახებ, რომელიც „თბილისის ავტობუსების პროექტის ფარგლებში", ავტობუსების ქსელის გაფართოების, მიკროავტობუსების ქსელის რეკონსტრუქტურიზაციისა და გადახდის ინტეგრირებული სისტემის შექმნის მიზნით ხორციელდება ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის მერიისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დაფინანსებით;

- ინფორმაცია საკონსულტაციო ჯგუფ Mott Macdonald CZ, spol-ის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ: შეხვედრაზე წარმოდგენილი იყო შუალედური ანგარიში საკონსულტაციო ჯგუფის მიერ გაწეული კვლევისა, რომელიც მათ მიერ დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტისა და სატრანსპორტო პოლიტიკაზე დაყრდნობით შემუშავდა. შეხვედრის ფორმატში საკონსულტაციო ჯგუფის მიერ წარმოადგენილი იყო რიგი რეკომენდაციები.

ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისია

ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიამ საანგარიშო პერიოდში გამართა 30 სხდომა და განიხილა ფუნქციური ზონის 137, ხოლო განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებების, განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტებისა და განაშენიანების რეგულირების კორექტირებული გეგმების 46 პროექტი. როგორც კომისიის წევრი, ჩართული გახლდით ზემოთხსენებული საკითხების ინდივიდუალური შესწავლის პროცესში, კომისიის სხდომებსა და სხვადასხვა აქტივობებში.

მიმდინარე წელს მნიშნელოვანი ცვლილებები განხორციელდა დედაქალაქის მდგრადი ურბანული განვითარების პოლიტიკისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის თვალსაზრისით.

სსიპ არქიტეტურის საქალაქო სამსახურს ქალაქის ურბანული განვითარების პოლიტიკის შემუშავების ფუნქცია აღარ ეკისრება - დამოუკიდებლად შეიქმნა ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური. ქალაქგეგმარებით პროცესში მკაფიოდ განისაზღვრა ტრანსპორტისა და გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურების როლი. ახალი პრინციპები, რაც ნორმატიული რეგულირების სახით დეტალურად გაიწერა „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში, გულისხმობს ურბანული დაგეგმარების პროცესში:

- ✓ სატრანსპორტო და გამწვანების საკითხების ინტეგრაციას - განისაზღვრა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების სავალდებულო ჩართვის პირობები;

- ✓ გამწვანებისა და სარეკრეაციო სივრცეების ზრდას - მწვანე ინფრასტრუქტურა დასახელდა ერთ-ერთ პრიორიტეტად; დადგინდა როგორც განაშენიანებული, ასევე გაუნაშენიანებელი ტერიტორიების მწვანე ნარგავებით გამოყოფის სავალდებულო რეგულაციები;

- ✓ განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შემუშავებისათვის წინასაპროექტო კვლევისას სავალდებულო გახდა ამგვარ კვლევაში მწვანე ნარგავების დეტალური აღწერისა და მათი ხარისხობრივი შეფასების ასახვა.

- ✓ სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის პროცედურებთან დაკავშირებულ ცვლილებებს;

- ✓ მშენებლობის სანებართვო მოსაკრებლის ცვლილებებს;
- ✓ ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გადამეტების დაშვებას მწვავე ავარიული შენობა-ნაგებობების ჩანაცვლების მოტივით, როდესაც ავარიულობის ხარისხი საფრთხეს უქმნის ადმიანიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას;
- ✓ და სხვა.

ცვლილება შევიდა ასევე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში, რაც შეეხო ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე ქაოტური განაშენიანებისგან დაცვის მექანიზმებს და ამ მიმართულებით ქალაქის სწორი ურბანული პოლიტიკის განსაზღვრას. ზემოთხსენებული ტერიტორიის კომპლექსური კვლევის, მის საფუძველზე ურბანული განვითარების კონცეფციისა და ,,ჩარჩო გეგმის" შემუშავებამდე დაწესდა და დეტალურად გაიწერა რეგულაციები მიწის ნაკვეთების ნებისმიერი ფორმით სამშენებლოდ განვითარების შეზღუდვისა და იმ საგამონაკლისო შემთხვევების შესახებ, რაზეც აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება.

წლის ერთ-ერთი მასშტაბური მნიშვნელობის საკითხი გახლდათ დედაქალაქის ახალი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტის განხილვა, რომელიც კომპანია „სითი ინსტიტუტი"-ს, თბილისის მერიის შესაბამისი სამსახურებისა და პროფესიული წრეების წარმომადგენლების საერთო ძალისხმევის შედეგად იქნა შემუშავებული, როგორც საბაზისო მოცემულობა. მის საბოლოო შეჯერებამდე, დედაქალაქის წარმომადგენლობით ორგანოში გაიმართა დოკუმენტის არაერთი განხილვა: საჯარო თუ კომისიურ ფორმატში, რაიონის გამგებლებსა და ოლქების მაჟორიტარებთან ერთად. გამოითქვა შენიშვნები და რეკომენდაციები დოკუმენტის პროექტთან დაკავშირებით

მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დღეს წარმოდგენილი პროექტის უმთავრესი ხაზი - მწვანე, შეკავშირებული, კომპაქტური და მედეგი ქალაქის კონცეფციაა, გათვალისწინებულია ახალი საქალაქო პარკების პროექტირება-მოწყობა და განაშენიანების ჩარჩო გეგმები. ცენტრის განსატვირთად იგეგმება ქალაქის რამდენიმე პოლიცენტრული არეალის შექმნა, გათვალისწინებულია კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, დახვეწილია და კანონმდებლობასთან შესაბამისობაშია მოყვანილი ზონირების საკითხები; დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმებიდან განისაზღვრა ის შემთხვევები, რომლებიც შეუსაბამობის გამო საჭიროებენ რევიზიას ან/და გაუქმებას.

მნიშნელოვანია ახალი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტში ისტორიულ-ლანდშაფტური დაცვის ზონის შეზღუდვებისა და რეგულაციების დაცვა და პრაქტიკაში გამოყენება, რაც წინა წლების პრაქტიკაში უგულებელყოფილ იქნა.

მიმდინარე წელს, დედაქალაქის სხვადასხვა რაიონში მნიშვნელოვანი მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების, გზების სამშენებლო-აღდგენითი სამუშაოების განხორციელება დაიწყო. წარმატებულად გრძელდება ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდის" ფარგლებში კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების სამუშაოები პროექტის - „ახალი ტფილისი" ფარგლებში. აღსანიშნავია, გუდიაშვილისა და ორბელიანის მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

საანგარიშო პერიოდში კომისიამ შეხვედრები გამართა:

- ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდთან:
  შეხვედრის თემა:
  - ✓ ფონდის დირექტორის მიერ სამწლიანი საქმიანობის ანგარიშის წარდგენა და ფონდის სამომავლო გეგმები;
  - ✓ ტაბიძის ქუჩა N18-ში სადარბაზოების რესტავრაციის, დადიანის ქუჩა N34-ში, გუდიაშვილის მოედანსა და მიმდებარე ქუჩებზე მიმდინარე სამუშაოების დათვალიერება.

- „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" წარმომადგენლებთან:
  შეხევდრის თემა: კომპანიის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტების გაცნობა,
  მათ შორის:
  - ✓ მისაქციელის წყალსადენის, ბოდორნაჰესის, საგურამოჰესის, ჟინვალის წყალსაცავისა და ნატახტრის წყალსადენის;
  - ✓ ღრმაღელის სადგურში არსებული საფილტრე ნაგებობების, ქიმიურბიოლოგიური საგამოცდო ლაბორატორიის;
  - ✓ სასწავლო ცენტრში წყლის მიწოდების და ხარისხის კონტროლის, ასევე შრომის უსაფრთხოების ლაბორატორიებისა და ტრენინგ-ცენტრის მუშაობის;

- შპს „თბილსერვის ჯგუფთან":
  შეხვედრის თემა:
  - ✓ განათების სამსახურის ოფისის, გარე განათების მართვისა და კონტროლის სისტემების გაცნობა; ინფორმაცია მუშაობის სპეციფიკის თაობაზე; სამომავლო გეგმები;

- „ყაზტრანსგაზ თბილისის" წარმომადგენლებთან:
  შეხვედრის თემა:
  - ✓ კომპანიის მუშაობის სპეციფიკის, მიმდინარე და სამომავლო პროექტების გაცნობა;
  - ✓ სწრაფი რეაგირების სამსახურის ცენტრალური მართვის ოთახის დათვალიერება;
  - ✓ ბერი გაბრიელ სალოსის გამზირსა და ბოჭორმის ქუჩაზე, გაზის მარეგულირებელი პუნქტის მუშაობის სპეციფიკის გაცნობა;
  - ✓ სწრაფი რეაგირების სამსახური114-ის ახალი ოფისის დათვალიერება;

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"

ჩემს მიერ წინამდებარე ანგარიშის სხვადასხვა ნაწილში წარმოდგენილი საკითხები, რაც დედაქალაქის საკრებულოს სხდომაზე განვიხილეთ, ცხადია, გათვალისწინებული გახლდათ ასევე ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს სხდომათა დღის წესრიგში. საანგარიშო პერიოდში სულ გაიმართა 33 სხდომა და განიხილულ იქნა 53 საკითხი.

ანგარიშის დასასრულს, წარმოგიდგენთ ინფორმაციას სხვადასხვა აქტივობების შესახებ:

- გაცნობითი ხასიათის შეხვედრა ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარეს რევაზ სოხაძესა და საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის

"IRI"-ს დირექტორს ანდრეა ქერბსს შორის, შეხვედრაზე საუბარი შეეხებოდა სამომავლო თანამშრომლობას;

- სამუშაო შეხვედრა, გამართული ჩუღურეთში შექმნილი სატრანსპორტო ვითარების შესახებ. სადაც განხილულ იქნა ლამის ქუჩის (ზემო ჩუღურეთი) მიმდებარე გზებზე არსებული სატრანსპორტო მდგომარეობა, აღნიშნულ ქუჩაზე „კავკასიის უნივერსიტეტი"-ს გადასვლის გამო;

- საქართველოს პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის მიერ საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის გამართული ერთობლივი წინასაახალწლო მიღება;

- ჩუღურეთის რაიონის მაჟორიტარი წევრის რიმა ბერაძის ინიციატივით, ამავე რაიონში მცხოვრები შშმ პირებისა და დღის ცენტრის „მშობელთა ხიდი" ბენეფიციარების ნამუშევრების ერთობლივი გამოფენა, რომელზეც მოზარდებმა მათ მიერ შექმნილი ნამუშევრები წარმოადგინეს;

- სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრში გამართული გაცნობითი ხასიათის შეხვედრა, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის დირექტორთან, მაკა გვარამიასთან. შეხვედრაზე გაიმართა მსჯელობა სასწრაფოს მუშაობის სპეციფიკასა და სამომავლო გეგმებზე;

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივით, საკრებულოს წევრებისა და აპარატის თანამშრომლების მიერ ერთობლივად განხორციელებული საქველმოქმედო აქცია, რომლის ფარგლებში დღის ცენტრი „ახალი ნაბიჯები"-სა და „ბავშვი და გარემო"-ს ბენეფიციარებს დამდეგი შობა-ახალი წელი მივულოცეთ.

- ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილე ვახტანგ შაქარიშვილსა და ჯანდაცვისა და სოციალური საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბირბიჩაძესთან ერთად გამართული შეხვედრა, მეტროსადგურ „ვარკეთილში" მომხდარი შემთხვევის შედეგად დაზარალებულ ორ მოქალაქესთან, სადაც დაზარალებულებს კუთვნილი უფასო სამედიცინო პროცედურების შესახებ ინფორმაცია მივაწოდეთ.

- თბილისის საკრებულოსა და „საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს" შორის გამართული მემორანდუმი, რომლის მიზანს წარმოადგენდა საგანმანათლებლო და საჯარო სექტორს შორის თანამშრომლობის გაღრმავება, სტუდენტების პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება და საჯარო სექტორში დასაქმებული პირების კვალიფიკაციის ამაღლება;

- თბილისში 2019 წელს, კოსტავას ქუჩაზე, 5 ვარსკვლავიანი სასტუმრო „ჰილტონი"-ს გახსნასთან დაკავშირებით გამართული პროექტის პრეზენტაცია;

- სასტუმრო „რუმსი"-ში თბილისის მერიის ახალი პროექტის „შენი იდეა ქალაქის მერს" გამართული პრეზენტაცია;

- თბილისის საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის ინიციატივით, საკრებულოში „თბილისის განვითარების ფონდის" წარმომადგენლებთან გამართული შეხვედრა, სადაც ფონდის დირექტორმა სამი წლის საქმიანობის ანგარიში

წარადგინა და ფონდის სამომავლო გეგმები გაგვაცნო. მივიღეთ ინფორმაცია იმ სტრატეგიასთან დაკავშირებით, რომელიც დედაქალაქს ძველ უბანთან მიმართებაში უნდა ჰქონდეს. შეხვედრის შემდეგ დავათვალიერეთ ტაბიძის ქუჩა N18-ში სადარბაზოების რესტავრაციის, დადიანის ქუჩა N34-ში, გუდიაშვილის მოედანსა და მიმდებარე ქუჩებზე მიმდინარე სამუშაოები.

- კომპანია „ფრეგობასი"-სა და საკრებულოს წევრებს შორის გამართული შეხვედრა, სადაც კომპანიამ წარადგინა პირველი ელექტროავტობუსი. სატრანსპორტო საკითხთა კომისიის ორგანიზებით საკრებულოს წევრებთან ერთად ავტობუსის დატესტვის მიზნით ვიმგზავრეთ სხვადასხვა სამარშრუტო ხაზზე.

- თბილისის სატრანსპორტო პოლიტიკის პრეზენტაცია, სადაც განხილულ იქნა ისეთი საკითხები, როგორიცაა: დედაქალაქის სატრანსპორტო პოლიტიკის ფარგლებში, ავტობუსების პარკის სრულად განახლება, მეტროს მოდერნიზაცია, პარკირების საათობრივი და ზონალური მართვის სისტემის დანერგვა, ტაქსების სერვისის მოწესრიგება, მიკროავტობუსების მოწესრიგება-ჩანაცვლება, სატრანსპორტო მარშრუტების განახლება და საზოგადოებრივი ტრანსპორტის სინქრონიზაცია;

- თბილისის მუნიციპლაიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესთან გიორგი ტყემალაძესთან ერთად გამართული შეხვედრა ბელორუსის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან საქართველოში, მიხაილ მიატლიკოვთან, ქალაქ მინსკის ვიცე-მერს ალექსანდრე კრეპაკთან, ასევე ბელორუსის დიასპორის ხელმძღვანელ ალექსანდრე ბახოლდინთან და დელეგაციის სხვა წარმომადგენლებთან, სადაც ვისაუბრეთ ორი ქვეყნის შესაბამის უწყებებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების შესაძლებლობებზე და სხვადასხვა მიმართულებით გამოცდილების ურთიერთგაზიარებისთვის მზადყოფნაზე.